ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს სამკ. კომპანია "იმერი"-ს (ს/კ 212670563) ფინანსურ მდგომარეობას, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს") შესაბამისად.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე.
2. გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე.
3. განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიში მსს ფასს-ის მიხედვით, არის თუ არა წარმოდგენილი და ახსნილი მსს ფასს-დან გამომდინარე მნიშვნელოვანი გადახრები.
4. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არ არის ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

1. კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.

2. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს.
3. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე, თაღლითობისა და სხვა დარღვევების არმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

დირექტორი: გიორგი ჩიხლაძე

მთ. ბუღალტერი: მაია დეისაძე

ს/ს სამკერვალო კომპანია "იმერი"

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	5171116	3665000
თვითღირებულება	(251611)	(160344)
საერთო მოგება	4919505	3504656
ადმინისტრაციული ხარჯები	(3756122)	(3160821)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(678418)	(413953)
საოპერაციო მოგება	484965	(70118)
საპროცენტო ხარჯები	(89399)	(57484)
სხვა შემოსავლები	107044	193554
მოგებამდე დაბეგვრა	502610	65952
ფინანსური შედეგი	502610	65952

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი: გიორგი ჩიხლაძე

მთ. ბუღალტერი: მაია დეისაძე

ს/ს სამკერვალო კომპანია "იმერი"
ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

2023წლის 31დეკემბრის დასრულებული წლისთვის
/ლარში/

	განმარტებითი შენიშვნა	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული დ აფულის ექვივალენტი	76193		49564
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	738380		341574
მარაგები	279658		330182
ძირითადი საშუალებები	3883419		3726750
სულ აქტივები	4977650		4448070
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები თანამშრომების წინაშე	419588		336179
გრძელვადიანი ნასესხები ვალდებულებები	902720		866592
საგადასახადო ვალდებულებები	68445		51496
სხვა ვალდებულებები	331440		280350
სულ ვალდებულებები	1722193		1534617
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1804005		1804005
საწესდებო კაპიტალი	820899		820899
გაუნაწილებელი მოგება	630553		288549
სულ კაპიტალი	3255457		2913453
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4977650		4448070

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი: გიორგი ჩიხლაძე მთ. ბუღალტერი: მაია დეისაძე

ს/ს სამკერვალო კომპანია "იმერი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

/ლარში/

	საწესდებოკაპიტალი	საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2023 წელი	820899	1804005	288549	2913453
წლის ფინანსური შედეგი				
31 დეკემბერი 2023 წელი	820899	1804005	630553	3255457

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი: გიორგი ჩიხლაძე მთ. ბუღალტერი: მაია დეისაძე

ს/ ს სამკერვალო კომპანია "იმერი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

/ლარში/

ფულადი ნაკადი საოპერაციო შემოსავლიდან:	
მომხმარებლისაგან მიღებული ფულადი სახსრები	4964297
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-5010537
სხვა გაცემული ფულადი სახსრები	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
ფულადი ნაკადები საინვენსტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის ზრდიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	270000
სესხის ძირის გადახდა	-107649
სესხის პროცენტის დაფარვა	-89482
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვაანგასვლა წლის განმავლობაში	
კურსთაშორისი სხვაობა	
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	49564
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	76193

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი: გიორგი ჩიხლაძე მთ. ბუღალტერი: მაია დეისაძე

ს/ს სამკერვალო კომპანია " იმერი"

საინდენტიფიკაციო კოდი: 212670563

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება --5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება----------6

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება----------7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება----------8

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები----------9-19

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს სამკ. კომპანია "იმერი"-ს (ს/კ 212670563) ფინანსურ მდგომარეობას, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს") შესაბამისად.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე.
2. გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე.
3. განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიში მსს ფასს-ის მიხედვით, არის თუ არა წარმოდგენილი და ახსნილი მსს ფასს-დან გამომდინარე მნიშვნელოვანი გადახრები.
4. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არ არის ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

1. კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.

2. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს.
3. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე, თაღლითობისა და სხვა დარღვევების არმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

დირექტორი: გიორგი ჩიხლაძე

მთ. ბუღალტერი: მაია დეისაძე

ს/ს სამკერვალო კომპანია "იმერი"

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	5171116	3665000
თვითღირებულება	(251611)	(160344)
საერთო მოგება	4919505	3504656
ადმინისტრაციული ხარჯები	(3756122)	(3160821)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(678418)	(413953)
საოპერაციო მოგება	484965	(70118)
საპროცენტო ხარჯები	(89399)	(57484)
სხვა შემოსავლები	107044	193554
მოგებამდე დაბეგვრა	502610	65952
ფინანსური შედეგი	502610	65952

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი: გიორგი ჩიხლაძე მთ. ბუღალტერი: მაია დეისაძე

ს/ს სამკერვალო კომპანია "იმერი"
ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

2023წლის 31დეკემბრის დასრულებული წლისთვის
/ლარში/

	განმარტებითი შენიშვნა	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული დ აფულის ექვივალენტი	76193		49564
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	738380		341574
მარაგები	279658		330182
ძირითადი საშუალებები	3883419		3726750
სულ აქტივები	4977650		4448070
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები თანამშრომების წინაშე	419588		336179
გრძელვადიანი ნასესხები ვალდებულებები	902720		866592
საგადასახადო ვალდებულებები	68445		51496
სხვა ვალდებულებები	331440		280350
სულ ვალდებულებები	1722193		1534617
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1804005		1804005
საწესდებო კაპიტალი	820899		820899
გაუნაწილებელი მოგება	630553		288549
სულ კაპიტალი	3255457		2913453
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4977650		4448070

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი: გიორგი ჩიხლაძე მთ. ბუღალტერი: მაია დეისაძე

ს/ს სამკერვალო კომპანია "იმერი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

/ლარში/

	საწესდებოკაპიტალი	საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2023 წელი	820899	1804005	288549	2913453
წლის ფინანსური შედეგი				
31 დეკემბერი 2023 წელი	820899	1804005	630553	3255457

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი: გიორგი ჩიხლაძე მთ. ბუღალტერი: მაია დეისაძე

ს/ ს სამკერვალო კომპანია "იმერი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

/ლარში/

ფულადი ნაკადი საოპერაციო შემოსავლიდან:	
მომხმარებლისაგან მიღებული ფულადი სახსრები	4964297
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-5010537
სხვა გაცემული ფულადი სახსრები	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
ფულადი ნაკადები საინვენსტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის ზრდიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	270000
სესხის ძირის გადახდა	-107649
სესხის პროცენტის დაფარვა	-89482
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვაანგასვლა წლის განმავლობაში	
კურსთაშორისი სხვაობა	
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	49564
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	76193

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი: გიორგი ჩიხლაძე მთ. ბუღალტერი: მაია დეისაძე

ს/ს სამკერვალოკომპანია " იმერი"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი ბარათი

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ქუთაისის სამკერვალო კომპანია " იმერი" რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში , სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 26.08.1996 წ.რეგისტრ.ნომერი 12/5 -16 კომპანიის იურიდიული მისამართია : ქ. ქუთაისი ლადო ასათიანისქ. N119

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამკერვალო ნაწარმის წარმოება. ვთანამშრომლობთ უცხოურ ფირმასთან: იტალიურ ფირმა INDUSTRIES S.P.A.—თან. მისი მოწოდებული ნედლეულით და მასალებით რომლებსაც საბაჟო დამუშავების რეჟიმით ვღებულობთ უკერავთ ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელს. ასევე ვიღებთ ადგილობრივ დაკვეთებს.

კომპანიას ჰყავს 936 აქციონერი, საიდანაც 87,87 % –ს ფლობს 10 აქციონერი.

1. სიმონიძე მაია—14.86%
2. გვენეტაძე ზაზა——10.56%
3. ხაჩიძე ლიანა——10.36%
4. ჩიხლაძე გიორგი—10.34%
5. აბულაძe ნანა,ნიკიფი მამუკა, ნიკიფი ზვიადი(თანამესაკუთრეები) –10.34%
6. ლომიძე უშანგი–10.31
7. ელბაქიძე ლელა–6.07%
8. სანოძე ცისანა–5.03%
9. კახიანი ინგა–5%
10. კახიანი ხათუნა –5%

1 მომზადების საფუძველი:

(ა) წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც კომპანიის მსს ფასს-თან ადაპტაციის პროცესის ნაწილი და შეესაბამება 35-ე განყოფილებას მსს ფასს-ზე გადასვლის პირველადი ადაპტაციის მოთხოვნებს. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის შესაბამისად.

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება განკუთვნილია, როგორც შესადარი ინფორმაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსამზადებელი კომპანიის პირველი სრული მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების კომპლექტისათვის. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშგება არ წარმოადგენს მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსური ანგარიშგებების სრულ ნაკრებს.

(ბ) აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 2019წლის 15 მაისის სარეკომენდაციო მითითების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, რომელიც იქნება გამოყენებული 2023 წლის მდგომარეობით კომპანიის მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების სრული ნაკრების მომზადებისას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა "ORISS", რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი", GEL"), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

(გ) საქმიანობის უწყვეტობა ("ფუნქციონირებადი საწარმო")

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა).

ამგვარად, მოცემული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

კომპანია რადგან ძირითადათ თანამშრომლობს უცხოურ იტალიურ ფირმა **"INDUSTRIES S.P.A."**-თან , ამიტომ შემოსავლის ძირითადი ნაწილი არის უცხოურ ვალუტაში. თანხის ჩამორიცხვისთანავე ვახდენთ კონვერტაციას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

2. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)----------

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობანი	20-დან 150 წლამდე
მანქანა-დანადგარები	5-დან 15 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-დან 8 წლამდე
სატრანსპორტო საშუალება	5-დან 8 წლამდე

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება. თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყონებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს. ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია. ქონება

ანგარიში	დასახელება	საწყისი ნაშთი	შეძენა	ჩამოწერა	ცვეთა	საბოლოო ნაშთი
2000	ძირითადი საშუალებები	3726750	300544	70105	73770	3883419
2110	მიწის ნაკვეთები	1804005				1804005
2130	შენობები	468778			3929	464849
2150	მანქანა დანადგარები	1292547	300175	70105	63518	1459099
2160	ოფისის აღჭურვილობა	89449	250		2939	86760
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი	62301	119		3201	59219
2180	სატრანსპორტო საშუალება	9672			183	9487

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებს შორის უმცირესი თანხით. ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულა თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შეძენის დანახარჯები: მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

გადამუშავების დანახარჯები:

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის წარმოებასთან, როგორიცაა მაგალითად პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად დანახარჯებს რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: ცვეთის ანარიცხები, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო დანახარჯები, აგრეთვე საწარმოო ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები. ცვლადი

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, როგორიცაა, დანახარჯები არაპირდაპირ მასალებსა და არაპირდაპირ სამუშაო ძალაზე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და მაშინ, როდესაც მარაგი გაუფასურებულია.

სავაჭრო და სხვა დებიტორულ/კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად მათი დაფარვის ვადა შეადგენს არაუმეტეს 60 დღეს. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავისმოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგკი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კრედიტორული დავალიანებები უზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან 30 დღეს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანგარიში	დასახელება	საწყისი ნაშთი 01.01.2023 წ	საბოლოო ნაშთი 31.12.2023 წ.
	მიმდინარე	46564	76193
1100	ნაღდი ფული სალაროში	31278	32643
1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1662	29271
1210001	თიბისი ბანკი	14	4
1210002	საქართველოს ბანკი	612	22203
1210003	ქართუ ბანკი	0	4783
1211	თიბისი ბანკის შემნახველი ანაბარი	1036	2281
1220	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	16624	14279
1220003	ქართუ ბანკი--ევრო	16611	14258
1220005	საქართ.ბანკი--დოლარი	13	21

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარებულია დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახადი მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი/ (სარგებელი) მოიცავდა მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარდებოდა წლის მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებული იყო იმავე, ან სხვა პერიოდში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავლებს და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადების თანხის გამოკლებით. დამატებული ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მომხმარებლისგან მისაწოდებელი საქონლის, ან მომსახურეობის გაწევამდე მიღებული ავანსი, ან (ბ) საქონლის ან მომსახურეობის მიწოდება მომხმარებლებისათვის.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადების და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში.

შემოსავალი

ანგარიშები	დასახელება	ბრუნვა 31.12.2023
	საოპერაციო შემოსავლები	5171116
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან	5109324
8190	იჯარით მიღებული შემოსავალი	61792

ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრულიშემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ანგარიშები	დასახელება	თანხა
	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3756122
7120	პირდაპირი ხელფასი	3756122

მსს ფასს-თან პირველადი ადაპტაცია

მსს ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია ახდენდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებას, რომლებიც ეფუძნებოდა გადასახადო რეგულაციებს.

35-ე განყოფილება მსს ფასს-ზე გადასვლა მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენას მსს ფასს-ზე გადასვლის

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დღის მდგომარეობით და მოიცავს მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენების რამდენიმე სავალდებულო და არასავალდებულო გამონაკლისს.

მსს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღია 01 იანვარი 2018 წელი.

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებიტ, არსებული განზრახვებით და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ გააჩნია არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადოს მიერ და შესაძლოა კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები, საურავები და პროცენტები. თუმცა ამ ეტაპზე, კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა საგადასახადო გადასახადი გადახდილი აქვს და არანაირი ანარიცხი არ წარადგინა გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ძალიან ცუდი ფაქტი იყო ის რომ 2023 წ. თებერვლიდან გერმანულმა ფირმა “ლებეკმა” კამპანიასთან შეწყვიტა 25 წლიანი თანამშრომლობა.

ამჟამად კომპანია აგრძელებს თანამშრომლობას იტალიურ ფირმა **INDUSTRIES S.P.A.**-თან და იღებს ადგილობრივ დაკვეთებს.

დირექტორი: გიორგი ჩიხლაძე